პროლეტარიელ ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სსრ კავშირის ფეხბურთელი

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

10
იანვარი
ხუთშაბათი,
1962 წ.
№ 7 (2112)
გამოდიოდეს მე-19 წელს.
ფასი 2 კაპ.

ს. კობაღიძე

ბ. სიმონიანი

შ. იამანიძე

გ. ჩოხელი

მ. მეხი

33 საუკეთესო ფეხბურთელი

○

1. მ. მეხი („დინამო", თბილისი)
2. ვ. ლობანოვსკი („დინამო", კიევი)
3. ვ. ჭუსინოვი („სპარტაკი", მოსკოვი)

○

1. ვ. პონედელნიკი (სკა, როსტოვი)
2. გ. გუსაროვი („ტორპედო", მოსკოვი)
3. ვ. კანევსკი („დინამო", კიევი)

○

1. ვ. ივანოვი („ტორპედო", მოსკოვი)
2. ვ. სერებრიანიკოვი („დინამო", კიევი)
3. ი. სუვოროვი („სპარტაკი", მოს.)

○

1. ხ. მეტრეველი („ტორპედო" მოსკოვი)
2. ი. ჩისლენკო („დინამო", მოსკოვი)
3. ო. ბაზილევიჩი („დინამო", კიევი)

○

1. ი. ნეტო („სპარტაკი", მოსკოვი)
2. ნ. მანოშინი („ტორპედო", მოსკოვი)
3. შ. იამანიძე („დინამო", თბილისი)

○

1. ნ. ზავადინოვი („ზენიტი", ლენინგრადი)
2. ი. საბო („დინამო", კიევი)
3. გ. სიჭინავა („დინამო", თბილისი)

○

1. ა. კრუტოკოვი („სპარტაკი", მოსკოვი)
2. ვ. დანილოვი („ზენიტი", ლენინგრადი)
3. დ. ბაგრიჩი (სკა, მოსკოვი)

○

1. გ. ჩოხელი („დინამო", თბილისი)
2. ა. შესტერნინოვი (სკა, მოსკოვი)
3. ვ. დიკარევი („სპარტაკი", მოსკოვი)

○

1. ა. მასლიონკინი („სპარტაკი", მოსკოვი)
2. გ. რიაბოვი („დინამო", მოსკოვი)
3. ტ. ტურიანჩიკი („დინამო", მოსკოვი)

○

1. ე. დუბინსკი (სკა, მოსკოვი)
2. ვ. ლოგოფეტი („სპარტაკი", მოსკოვი)
3. ვ. სემიონოვი (სკა, მოსკოვი)

○

1. ლ. იაშინი („დინამო", მოსკოვი)
2. ვ. მასლაჩენკო („სპარტაკი", მოსკოვი)
3. ს. კოტრიკაძე („დინამო", თბ)

მსოფლიო ჩემპიონატი ჩილეში

წელს სტადიონები ტენის ბურთის მსოფლიო ჩემპიონატისთვის ბინან ჩილეში. 21 ქვეყანამ ექვსი ოფიციალურად შეტანა განაცხადი მსმენი მონაწილეობის შესახებ.

მონაწილე ვენდები თავიანთი კალიფიკაციის შესაბამისად ჯგუფებად იქნებიან დანაწილებულნი, ამასთან ჩემპიონის ოქროს მედალისათვის ებრძოლებს მხოლოდ პირველი ჯგუფი.

ბოკეს საერთაშორისო ფედერაციამ პირველ ჯგუფს, მაგალითად შეავალა, კანადის, ამერიკის შეერთებული შტატების, სპეინოთ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ფინეთის ვენდები. ახლა პირველ ჯგუფში ერთი ადგილია დარჩა გაკრეტული. იგი მოკეთებენა ნორიეგიის ამ გარანტიის ფედერაციელ რესპუბლიკის პოკეტებმა, მაგრამ მათ ენენა ჩაატარონ ორი შესარჩევი შეხვედრა ერთმანეთთან.

მსოფლიო ჩემპიონატს პოკეთმა მისა ეფრიტელი მონაწილეებისათვის ეფრიტის ჩემპიონატს მნიშვნელობაე ექნება. ახლა სპორტული პრესა დიდ ყურადღებას თეთრს პოკეის სეზონის ამ ცენტრალურ ლონისძიებას, ქვეყნდება ცნობები წამყვანი გენდების საკონტროლო მატჩებისა და საწვრთნელი ეარკეშვის შესახებ.

ა. ფალალეანიძე,
რესპუბლიკის საკავშირო კლუბის ინსტრუქტორი.

ფეხბურთის საკავშირო ფედერაციაში

მოსკოვი. (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.). შედგა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომა, რომელშაც განიხილა „ა" კლასის მოთამაშეთა გენდებიდან ვენდებში გადასვლის საკითხი.

კერძოდ, განსაკუთრებული მსჯელობის საგნად იქცა მოსკოვის „ტორპედოს" მოთამაშეთა სპეკ გენდებში გადასვლის საკმე. რაგორც ცნობილია, „ტორპედოს" მოელნა რიგმა წამყვანმა ფეხბურთელებმა განაცხადეს ს

საქართველოს 10 საუკეთესო მძლეოსანი

1962 წლის შედეგების მიხედვით

გთავაზობთ საქართველოს 10 საუკეთესო მძლეოსნის სიას 1962 წლის შედეგების მიხედვით. ყოველი სპორტსმენის გვარის გასწვრივ აღნიშნულია მისი შედეგი, დაბადების წელი, ორგანიზაციის დასახელება, შეჯიბრების ჩატარების დრო და ადგილი. შავი შრიფტით აწყობილია იმ სპორტსმენთა გვარები, რომელთა შედეგები უდრის ოსტატის ან პირველი თანრიგის მაჩვენებელს.

ვ ა ჟ ე ბ ი

რბენა 100 მ — **ე. ლომთაძე** — 10,3 (37) თბილისი, „სპარტ". 7 IX, თბილისი; **ა. ბედუკაძე**—10,3, (41) თბილისი, „ბურ." 7 IX, თბილისი; **ა. სობაკინი** — 10,5, (41) თბილისი, „სპარტ". 7 IX, თბილისი; **ვ. ავაძე** — 10,5, (41) თბილისი, „დინამო", 7 IX, თბილისი; **რ. ჯარაზნელი** — 10,7, (32) თბილისი, „დინამო", 8 IV, თბილისი; **ბ. სალუქვაძე** — 10,7, (39) თბილისი, „განთ", 14 V, თბილისი; **რ. სერებრიანი** — 10,7, (41) თბილისი, „სპარტ". 7 IX, თბილისი; **ა. ივაშჩენკო** — 10,7, (36) სოხუმი, „დინამო", 27 X, გაგრა; **გ. თურმანიძე** — 10,8, (35) თბილისი, „დინამო", 14 V, თბილისი; **მ. შაპირო** — 10,8, (37) თბილისი, „სპარტ." 13 VII, თბილისი; **ა. ანტონოვი** — 10,8, (44) თბილისი, გან. განყ. 7 IX, თბილისი; **ტ. ბახტაძე**—10,8, (38) თბილისი, „ლოკ." 3 XI, თბილისი.

საშუალო შედეგი 1961 წ—10,7; 1962 წ — 10,6.

რბენა 200 მ — **ე. ლომთაძე** — 21,8, 24 VI, კიევი; **ა. სობაკინი** — 22,0, 24 VII, ოდესა; **რ. სერებრიანი** — 22,2, 12 VIII, ხერსონი; **ტ. ბახტაძე** — 22,2, 24 IX, ხარკოვი; **ა. ბედუკაძე** — 22,4, 6 X, თბილისი; გ. თურმანიძე — 22,6, 15 V, თბილისი; ბ. სალუქვაძე — 22,6, 15 V, თბილისი; ე. ზემლიანოი — 22,8, (41) თბილისი, „ბურ." 31 III, თბილისი; ა. ივაშჩენკო — 22,8, 15 V, სოხუმი; ა. ანტონოვი — 22,9, 17 VIII, რიგა.

საშუალო შედეგი 1961 წ—22,3; 1962 წ — 22,4.

რბენა 400 მ — **ტ. ბახტაძე** — 49,6, 26 IX, ხარკოვი; **ი. დიაჩკოვი** — 49,8, (40) თბილისი, „დინამო", 13 IX, ბელგრადი; **ბ. კიული** — 50,0, (38) სოხუმი, „დინამო", 16 VI, სოხუმი; **ზ. სარქისიანი** — 50,8, (45) თბ. გან. განყ. 18 VIII, რიგა; ე. ლომთაძე — 50,9, 13 X, კიევი; ა. სობაკინი — 51,4, 5 XI, თბილისი; ე. გონჩაროვი — 51,5, (40) თბილისი, სკა, 8 VIII, თბილისი; ბ. სალუქვაძე — 51,5, 26 V, ერევანი; ზ. დოლიძე — 51,7, (42) თბილისი, „ბურ". 8 IV, თბილისი; ო. ხოლოდოკი — 51,9, (34) თბილისი, სკა, 26 V, ერევანი; ჯ. სხულუხია — 51,9, (42) თბილისი, სკა, 8 VIII, თბილისი.

საშუალო შედეგი 1961 წ—50,9; 1962 წ — 50.8.

რბენა 800 მ — **ე. გონჩაროვი** — 1.54,0, 2 X, ტაშკენტი; **ვ. რუკინი** — 1.54,0, (38) თბილისი, „ბურ." 2 X, ტაშკენტი; **ვ. ივანოვი**—1.55,0, (37) გაგრა, „დინამო", 18 VI, სოხუმი; ნ. თვაური — 1.55,1 (36) თბილისი, „დინამო", 15 V, თბილისი; ზ. ეფრემიძე — 1.57,0, (42) თბილისი, „კოლმ." 6 V, ვოლგოგრადი; გ. იმნაძე — 1.57,0, (36) ბათუმი, „დინამო", 15 V, თბილისი; ი. ლოგუნოვი — 1.57,2, (40) თბილისი, სკა, 15 V, თბილისი; ვ. კომაროვი — 1.59,0, (37) თბილისი, „კოლმ." 15 V, თბილისი; ზ. დოლიძე — 1.59,0, 23 VIII, თბილისი; ა. გრინევსკი — 1.59,6, (40) თბილისი, სკა, 7 IX, თბილისი.

საშუალო შედეგი 1961 წ—1.57,4; 1962 წ — 1.56,9.

რბენა 1.500 მ — **ვ. კომაროვი** — 3.54,2, 14 VIII, სტავროპოლი; **ვ. რუკინი** — 3.59,8, 26 VII, თბილისი; **ზ. ეფრემიძე**—4.02,2, 6 V, ვოლგოგრადი; ნ. თვაური — 4.05,8, 9 IX, თბილისი; ი. ლოგუნოვი — 4.06,4, 9 IX, თბილისი; ვ. ივანოვი — 4.07,0, 20 VIII, სოხუმი; ი. მიხაილჩენკო — 4.07,4, (35) თბილისი, „ბურ." 6 X, თბილისი; ვ. პეტროსიანი — 4.08,8, (43) თბილისი, სკა, 9 VIII, თბილისი; ე. გონჩაროვი — 4.08,9, 10 XI, კიევი; ვ. ნესტერენკო—4.09,4, (38) რუსთავი, „განთ." 9 IX, თბილისი.

საშუალო შედეგი 1961 წ—4.05,1; 1962 წ — 4.04,9.

რბენა 5.000 მ — **ვ. კომაროვი**— 14.38,6, 9 IX, თბილისი; ი. მიხაილჩენკო — 15.02,0, 4 XI, თბილისი; ვ. ნესტერენკო — 15.17,8, 9 IX, თბილისი; ვ. ივანოვი — 15.40,0, 16 VIII, სოხუმი; ნ. ევსეევი — 15.51,6, (38) თბილისი, „კოლმ." 4 XI, თბილისი; ვ. რუკინი — 15.57,0, 30 III, თბილისი; ი. პუპარევიჩი — 16. 01,3, (40) ბათუმი, „დინამო", 17 VI, ბათუმი; ა. მირონოვი—16.02,2, (39) ფოთი, „განთ." 14 V, ფოთი; ზ. ეფრემიძე—16.10,8, 30 III, თბილისი; ვ. პოზნარი — 16.21,2 (25) თბილისი, სკა, 8 VIII, თბილისი.

საშუალო შედეგი 1961 წ — 15.50,0; 1962 წ — 15.43,2.

რბენა 10.000 მ. — ი. მიხაილჩენკო — 31.59,6, 5 XI, თბილისი; ნ. ევსეევი—33.42,6, 7 IX, თბილისი.

110 მ ᲗᲐᲠᲯᲠᲑᲔᲜᲘ — **გ. გვინჩიძე** — 14,8 (37) თბილისი, „დინამო", 7 IX, თბილისი; **ი. დიაჩკოვი** — 14,9, 14 IX, ბელგრადი; **მ. ტუღუში** — 15,0, (32) ბათუმი, „დინამო", 26 IV, თბილისი; **გ. ლეჟავა** — 15,0, (30) თბილისი, „ბურ." 16 V, თბილისი; **ბ. სამოილენკო** — 15,3, (36) თბილისი, „განთ." 12 VIII, ზაპოროჟიე; **ო. სკიბინი** — 15,3, (40) თბილისი, „ბურ." 3 XI, თბილისი; გ. ბუჟია — 15,6, (37) ფოთი, „კოლმ.". 7 IX, თბილისი; ე. ქავზირევი — 15,6, (42) ბათუმი, „სპარტ." 24 VII, ოდესა; ო. კანჯარია — 15,6, (42) სოხუმი, „სპარტ." 24 VII, ოდესა; რ. ქვაჩაკიძე — 15,7, (38) თბილისი, „ბურ." 5 II, ლენინგრადი; ვ. ფედოროვი — 15,7, (40) რუსთავი, „შრ. რეზ". 8 IV, თბილისი.

საშუალო შედეგი 1961 წ — 15,3; 1962 წ — 15,3.

200 მ ᲗᲐᲠᲯᲠᲑᲔᲜᲘ — **გ. გვინჩიძე** — 24,5, 7 X, თბილისი; ვ. არსიაშვილი — 24,8, (36) თბილისი, „ბურ." 7 X, თბილისი; ვ. ლანჩავა — 25,8, (42) ქუთაისი, „ბურ." 8 IX, თბილისი; პ. ნაგორნი—25,8, (36) თბილისი, „ბურ." 8 IX, თბილისი; ბ. სამოილენკო — 25,9, 8 IX, თბილისი; გ. ლეჟავა — 26,1, 24 IV, თბილისი; ჯ. სხულუხია — 26,1, 8 IX, თბილისი; გ. დუმბაძე — 26,2, (45) თბილისის გან. განყ. 29 VII, ვილნიუსი; ო. კობჩიკი — 26,5, (45) თბილისის კან. განყ. 7 X, თბილისი; მ. ტუღუში — 26,6, 26 V, ერევანი.

საშუალო შედეგი 1961 წ—26,3; 1962 წ — 25,8.

400 მ ᲗᲐᲠᲯᲠᲑᲔᲜᲘ — პ. ნაგორნი — 56,7, 24 VII, თბილისი; ო. კობჩიკი — 57,0, 3 XI, თბილისი; ვ. არსიაშვილი — 57,2, 7 X, თბილისი; ვ. ლისკოვი — 57,9, (33) თბილისი, სკა, 6 V, თბილისი; ა. ბომაზანი — 58,5, (40) რუსთავი, „განთ." 8 IX, თბილისი; ს. სიდელნიკოვი — 59,0, (43) თბილისი, „ბურ." 7 X, თბილისი; ო. სკიბინი — 59,0, 3 XI, თბილისი; ე. გონჩაროვი — 59,3 8 IX, თბილისი; ა. მოსულიშვილი — 1.02,7, (42) თბილისი, „ბურ." 7 X, თბილისი; ზ. მეკოშკიშვილი — 1.06,0, (43) თბილისი, „შრ. რეზ." 8 IX, თბილისი.

საშუალო შედეგი 1961 წ — 1 წუთი; 1962 წ — 58,4.

რბენა 3.000 მ დაბრკოლებებით — **ვ. კომაროვი** — 8.48,4, 27 VI, ლომბაჯი; ვ. ნესტერენკო — 9.24,6, 4 XI, თბილისი; ვ. რუკინი — 9.33,4, 27 VII, თბილისი; ვ. დეროგაჩევი — 10.06,6 (41) თბილისი, სკა, 9 IX, თბილისი; ი. კურილინი — 10.13,2 (38) თბილისი, სკა, 9 IX, თბილისი; ნ. მიტროფანოვი — 10.27,8 (41) თბილისი, „დინამო", 8 VII, ბათუმი; ვ. ვოსკრესენსკი — 10.38,9 (42) თბილისი, „დინამო", 8 VII, ბათუმი; ა. ციგანკოვი — 10.40,4, (41) რუსთავი, „განთ." 4 XI, თბილისი; ე. წკრიალაშვილი — 10.43,8, (42) გორი, „ბურ." 4 XI, თბილისი; მ. კლიმინი — 10.46,6, (40) ქუთაისი, 4 XI, თბილისი.

საშუალო შედეგი 1961 წ — 10.09,4: 1962 წ — 10.10,4.

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲡᲘᲐᲠᲣᲚᲘ 20 კმ — ა. შჩერბინა — 1:29.44,6, (31) თბილისი, „დინამო", 9 IX, თბილისი; **ი. პროკოშკინი** — 1:37.52,0, (32) თბილისი, „კოლმ." 4 XI, თბილისი; რ. გოგეშვილი — 1:49.58,0, (40) თბილისი, „ბურ." 4 XI, თბილისი; ვ. ლიბერმანი — 1:56.21,0, (41) ბათუმი, 9 IX თბილისი.

საშუალო შედეგი 1961 წ — 1:35.37,4; 1962 წ — 1:43.03,0.

ᲡᲘᲒᲠᲫᲔᲖᲔ ᲮᲢᲝᲛᲐ — **ა. ბედუკაძე** — 7.65, 12 VIII, ხერსონი; **რ. ქვაჩაკიძე**—7.58, 27 V, ერევანი; **ბ. სამოილენკო** — 7.52, 27 V, ერევანი; **ლ. დარახველიძე** — 7.19 (39) თბილისი, „სპარტ." 26 IV, თბილისი; **ვ. სილუიანოვი** — 7.19, (41) თბილისი, სკა, 14 X, ბათუმი; რ. ჩუბინიძე—7.15, (43) თბილისი, „განთ." 26 IV, თბილისი; ი. დიაჩკოვი — 7.12, 12 VIII, კიევი; ა. ანტონოვი — 7.08, 28 X, თბილისი; რ. ჯარაზნელი — 7.03, 30 IX, თბილისი; ვ. ჩხეიძე — 7.01, (36) თბილისი, „სპარტ." 13 X, თბილისი.

საშუალო შედეგი 1961 წ — 7.20; 1962 წ — 7.25.

ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲔᲖᲔ ᲮᲢᲝᲛᲐ — **რ. შავლაყაძე** — 2.15, (33) თბილისი, „დინამო", 26 V, ერევანი; **რ. ამბარიანი** — 2.03, (41) თბილისი, სკა 3 XI, თბილისი; **თ. მდივანი** — 2.00, (41) თბილისი, „ბურ." 27 VII, თბილისი; **გ. ვიბლიანი** — 195, (38) თბილისი, „ბურ." 14 VI, თბილისი; **ო. ბარგანჯია** — 195, (38) სოხუმი, „დინამო", 26 VIII, სოხუმი; **ა. ოგანეზოვი** — 195, (40) ბორჯომი, „სპარტ." 25 X, ერევანი; **რ. ქვაჩაკიძე** — 191, 3 II, ლენინგრადი; **ი. არშბა** — 191, (44) თბილისი, გან. განყ. 29 V, ოჩამჩირე; **შ. ართქმელაძე** — 190, (44) თბილისი, „კოლმ." 6 V, თბილისი; **ი. დიაჩკოვი** — 190, 12 VIII, კიევი; **ა. შავლოხოვი** — 190, (43) თბილისი, „ბურ." 6 V, თბილისი; **ი. ჩირიკაშვილი** — 190, (43) ქუთაისი, „ბურ." 2 XI, ქუთაისი; **გ. ქაძანაია** — 190, (40) თბილისი, „ბურ." 8 IV, თბილისი; **ვ. კაზამბა** — 190, (42) სოხუმი, „დინამო", 16 VIII, თბილისი; **გ. ბუჭია** — 190, (37) ფოთი, „კოლმ." 7 VI, ფოთი.

საშუალო შედეგი 1961 წ—194; 1962 წ — 196.

ᲡᲐᲛᲮᲢᲝᲛᲘ — **ვ. ჩხეიძე**—15.79, 24 IV, თბილისი; **ლ. დარახველიძე** — 15.70, 7 IX, თბილისი; **ბ. სიმაკოვი** — 15.00, (38) თბილისი, „დინამო", 26 II, თბილისი; ვ. ალექსანდროვი — 14.72 (35) სოხუმი, „დინამო", 6 VII, ბათუმი; ვ. სკიბა —14,60 (41) თბილისი, „ბურ." 26 II, თბილისი; კ. ანასოვი — 14.59, (40) თბილისი, „ბურ." 24 IV, თბილისი; რ. ქვაჩაკიძე — 14.49, 15 V, თბილისი; რ. ბოიაჯანი — 14.28, (41) თბილისი, „ბურ." 8 IV, თბილისი; ტ. გიორგობიანი — 14.20, (39) ქუთაისი, „სპარტ." 7 IX, თბილისი; ბ. ოვსეპიანი — 14.20, (42) სოხუმი, გან. განყ. 6 X, სოხუმი.

საშუალო შედეგი 1961 წ—15.18; 1962 წ — 14.77.

ᲭᲝᲙᲘᲗ ᲮᲢᲝᲛᲐ — ი. დიაჩკოვი — 4.30, 27 V, ერევანი; **ვ. ვენცავიჩი**—4.20 (38) თბილისი, „დინამო" 27 V, ერევანი; ვ. ფურმანი — 3.80 (40) თბილისი, „ბურ." 8 IV, თბილისი; **ო. ხოლოდოკი** — 3. 80, 27 V, ერევანი; ვ. სკიბა — 3.80, 7 X, თბილისი; გ. კობიაშვილი — 3.80, (37) თბილისი, „ლოკ." 27 X, თბილისი; ვ. ჩიტიაშვილი— 3.70, (45) თბილისი, გან. განყ. 28 VII, ვილნიუსი; ა. ელენინი — 3.60, (45) თბილისი, გან. განყ. 26 V, თბილისი; გ. ლვინაძე — 3.60, (41) თბილისი, „ბურ." 25 VII, თბილისი; ი. შუქუროვი — 3.60, (26) თბილისი, „შრ. რეზ." 9 IX, თბილისი.

საშუალო შედეგი 1961 წ—3.88 1962 წ — 3.82.

(გაგრძელება იქნება)



სტარტი....
ფოტო მ. ზარგარიანისა.

მანქანათმშენებელთა კოლექტივმა გაანალდა ვალდებულება

ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივი გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო გეგმებს. აქ დამზადებული სხვადასხვა სახის ყურძნის გადასამუშავებელი მანქანები მევენახეობის არაერთ ქვეყანაში იგზავნება. შრომისმოყვარე მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკოსებს სამეურნეო წარმატებების მიღწევაში დიდ დახმარებას უწევს ფიზკულტურა და სპორტი. საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტი რ. თგანეზოვი მეექვსე წელია ქარხანაში მუშაობს და ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ გააკეთა სპორტულ კოლექტივში. მანქანათმშენებლები წლიდან წლამდე ამრავლებენ სპორტულ მიღწევებს.

საწარმოში დიდად აქტიურობენ მაგიდის ჩოგბურთელები. წელს მათ საქალაქო პირველობაზე პირველ ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავეს, ხოლო სამმა მონაწილემ პირველი თანრიგები მოიპოვა.

ქარხნის ფეხბურთელებში ყველას ჯობნიან მექანიკური საამქროს წარმომადგენლები. ამ გუნდის წევრები საწარმოს ნაკრების ღირსებასაც იცავენ.

მსროლელები საპრიზო ადგილებს იკავებენ რაიონულ და საქალაქო ასპარეზობებში. წელს ათმა კაცმა მიიღო მესამე თანრიგი.

კომკავშირის კომიტეტის სპორტული მუშაობის სექტორის ხელმძღვანელი ა. მჭედლიშვილი კალათბურთელთა გუნდის მწვრთნელიცაა და მისი წამყვანი მოთამაშეც. წელს მან ათი მესამეთანრიგოსანი მოამზადა. კალათბურთელებს არც ფრენბურთელები ჩამორჩნენ — მათ აქტივშია 11 მესამეთანრიგოსანი.

დიდი ყურადღება ეთმობა გამაჯანსაღებელ საშუალებებს. საამქროებში სისტემატურად ტარდება საწარმოო ტანვარჯიში, ეწყობა ტურისტული გასვლები რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში. გასულ ზაფხულს აქაური ტურისტები ესტუმრნენ მცხეთას, ზედაზენს, შუამთას. დიდი პოპულარობით სარგებლობს აგრეთვე თევზჭერა და მონადირეთა სექციები.

ქარხნის სპორტსმენებმა გადაჭარბებით შეასრულეს თანრიგოსნების, ნიშნოსნების, საზოგადოებრივი კადრების მომზადების გასული წლის ვალდებულება.

ი. ჯღარკავა

სტარტი აღებულია წარუმატებლად

არც ისე დიდი დრო დარჩა სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადამდე. აი, რად უნდა ვიხილავდეთ ჩვენი რესპუბლიკის ტანმოვარჯიშეთა გამოსვლას, გასული წლის დამლევს, პირად-გუნდურ შეჯიბრებაზე მოსკოვში ძალთა გენერალურ დათვალიერებად და სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადისათვის მზადების შემოწმებად.

განვლილ საკავშირო შეჯიბრებაზე ჩვენი რესპუბლიკიდან გუნდურ ჩათვლაში მონაწილეობა მიიღეს სპორტსაზოგადოებებმა „დინამომ" — პირველ ჯგუფში — და „განთიადმა" — მეორე ჯგუფში; პირად შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ „ბურევესტნიკის", „სპარტაკისა" და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სპორტული კლუბის ტანმოვარჯიშეები.

ამრიგად, განვლილ შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს ჩვენი რესპუბლიკის საუკეთესო წარმომადგენლებმა. და სავალალოც სწორედ ეს არის! ჩვენი ოსტატები, ისევე როგორც პირველთანრიგოსნები, ამ საკავშირო დათვალიერებაზე გამოიყურებოდნენ ძალზე სუსტად.

მართალია, „განთიადის" გუნდი ადრინდელთან შედარებით უკეთესად გამოვიდა, მაგრამ მერვე ადგილი, რომელიც მან დაიკავა, ისიც მეორე ჯგუფში, სრულიად არ არის სახარბიელო. ამიტომ, დროა „განთიადის" გუნდის შემადგენლობა განახლებული და შევსებული იქნეს უფრო პერსპექტიული სპორტსმენებით.

ჩვენი გუნდის წევრების წარუმატებლობაზე მოწმობენ აგრეთვე მათ მიერ მიღებული შეფასებებიც. ასე მაგალითად: თუ 1962 წლის მაისში, გაზეთ „პრავდის" იუბილესადმი მიძღვნილ შეჯიბრებაზე „დინამოს" ქალთა გუნდმა ორძელზე 64,05 ქულა მოაგროვა, გუნდის წევრთა საშუალო ქულა კი 9,15-ს უდრიდა, ამავე იარაღზე, ნოემბერში, გუნდმა უკვე მხოლოდ 62,9 ქულა მოაგროვა, საშუალო შეფასება კი 8,98 ქულას უდრიდა. დანარჩენ იარაღებზეც, გარდა დვირისა, ქალთა გუნდის შეფასებანი ნოემბერში უფრო დაბალი იყო, ვიდრე მაისში. შედეგების დაქვეითებას ადგილი ჰქონდა აგრეთვე ვაჟთა გუნდშიც. თუ მაისში მან ორძელზე მოაგროვა 64,35 ქულა, ხოლო საშუალო შეფასება უდრიდა 9,18-ს, ნოემბერში ამავე იარაღზე გუნდმა მხოლოდ 62,0 ქულა მოაგროვა, საშუალო კი უკვე 8,35 ქულას უდრიდა. იგივე ამბავი გამეორდა სხვა იარაღებზეც.

არასახარბიელოა აგრეთვე გუნდის ცალკეულ წევრთა მიერ დაკავებული ადგილებიც. მართალია, აქ უნდა აღინიშნოს ნოდარ მაკალათიას და ალექსანდრა ჯანუყაშვილის მიღწევები, რომელნიც სსრ კავშირის ტანმოვარჯიშეთა საუკეთესო ათეულებში შევიდნენ, მაგრამ ეს მხოლოდ სასიამოვნო გამონაკლისია. ჩვენი გუნდის სხვა წამყვანმა ტანმოვარჯიშეებმა ვერ მოიპოვეს სახარბიელო ადგილები. ასე მაგალითად: ქალთა გუნდიდან ნინოშვილმა დაიკავა მე-20 ადგილი, ბენიძემ—33-ე, ქაჯაიამ — 158-ე, ვაჟებიდან — ბოგუსმა — 33-ე, ფრიდონიშვილმა — 53-ე, რ. მიქაძემ — 102-ე და ა. შ.

— ნაკრები გუნდის წევრთა მაჩვენებლების ასეთი დაქვეითება ცუდი ნიშანია III სპარტაკიადისათვის მზადების პროცესში. ეს ფაქტი მით უფრო საგანგაშოა, რომ ჩვენმა უახლოესმა მეტოქეებმა — ლენინგრადისა და ბელორუსიის გუნდებმა ნოემბრის შეჯიბრებაზე, მაისის შეჯიბრებასთან შედარებით, გააუმჯობესეს თავიანთი მიღწევები. ცნობილია, თუ რაოდენ აძნელებს ფინალში კარგი შედეგების მიღწევას წარუმატებლად აღებული სტარტი. ამიტომ ნაკრები გუნდის მწვრთნელები და წევრები მოვალენი არიან მთელი სერიოზულობით შეაფასონ შექმნილი მდგომარეობა და გამოიყენონ ყოველი შესაძლებლობა, რათა უზრუნველყონ მათ წინაშე დასახული ამოცანების პირნათლად შესრულება.

დ. ჩიკვაიძე,
სპორტის დამსახურებული ოსტატი, დოცენტი.

სურათებზე: განათლების სამინისტროს მოსწავლეთა სპორტულ სკოლაში ნორჩ ტანმოვარჯიშეთა აღზრდას მაღალკვალიფიციური მწვრთნელები ხელმძღვანელობენ. ზედა სურათზე — სპორტსკოლის მწვრთნელი ე. ქოვლიევა ამეცადინებს გოგონათა ჯგუფს. ქვევით — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ნ. ბახუტაშვილი ახალ ილეთს ასწავლის ჭაბუკ სპორტსმენებს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ტანვარჯიშის სკოლა

სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის ბრძოლის პრობლემები

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივება ძირითადად შესაძლებელია მიღწეულ იქნას მისი ეკონომიური და კულტურული დონის თვალსაჩინოდ ამაღლების გზით, რომლის ქვეშაც პირველ რიგში იგულისხმება კვების, შრომისა და დასვენების რაციონალური ორგანიზება. სწორედ მოსახლეობის ეკონომიური დონის თვალსაჩინოდ ამაღლების გზით შესაძლებელი გახდა სოციალისტურ ბანაკში გაერთიანებულ ქვეყნებში ადამიანთა სიცოცხლის თვალსაჩინოდ გახანგრძლივება. ნათქვამის დასამტკიცებლად მოგვყავს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სტატისტიკური მონაცემები. თუ ბულგარეთში 1935-1939 წლებში მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლიობა საშუალოდ უდრიდა ქალებში 52,29, ხოლო მამაკაცებში 50,7 წელს, 1956 წლისათვის იგი ქალებში 67,5, ხოლო მამაკაცებში 63,4 წელს შეადგენდა.

ცნობილია, რომ ადამიანში მოხუცებულობის ნიშნების გამოვლინება შედარებით ნაადრევად იწყება. სიბერის ერთ-ერთ დამახასიათებელ მოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ ადამიანის ფიზიკური შრომისუნარიანობის დაქვეითება. აღსანიშნავია, რომ ასაკის მომატებასთან ერთად ადამიანში ყველა არსებული ფიზიკური თვისებებიდან (ძალა, გამძლეობა, სისწრაფე) ყველაზე ადრე სისწრაფის რეაქცია იწყებს დაქვეითებას. ასე მაგალითად, მოკლე მანძილზე მსოფლიოში ყველა საუკეთესო მორბენლებს, როგორც წესი, სპორტული მიღწევების დაქვეითება საშუალოდ 22 წლის ასაკიდან ეწყებათ. სხვადასხვა მანძილებზე საუკეთესო მორბენლები ასაკობრივი მონაცემების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდებიან:

რბენა 100 მეტრზე	22,1 წლის
„ 400 „	23,8 „
„ 800 "	25,0 "
„ 1500 "	25,5 „
„ 5000 "	27,5 „
„ 10.000 „	32,2 „

ძალზე ადრე ვითარდება მოხუცებულობის ნიშნები სმენის აპარატის მხრივ. კერძოდ 25 წლის ასაკიდან ადამიანს შეუძლია მოისმინოს ტონები 20.000, ხოლო 35 წლიდან კი 1.500 ჰერცისა. 50 წლის ასაკიდან თვალსაჩინოდ შეიმჩნევა კუნთოვან სისტემაში მორფოლოგიური და ფუნქციური ხასიათის ცვლილებების განვითარება. ამ პერიოდიდან კუნთის ძალა საშუალოდ 40-50 პროცენტით განიცდის შემცირებას. კუნთების დიდ ნაწილში იწყება ატროფია, რაც მიზეზია სხეულის სიმაღლეში მოკლებისა. კუნთური მასის შემცირება უარყოფითად მოქმედებს ბიოლოგიურ ჟანგვა-აღდგენითს პროცესებზე. უფროს ასაკში ადამიანის ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის დაქვეითება და თერმორეგულაციის პროცესების დარღვევა აიძულებს მას, რაც შეიძლება თბილად ჩაიცვას. ადგილი აქვს აგრეთვე სახსრებში მოძრაობის თანდათანობით შეზღუდვას, ხოლო ზოგიერთ მყესებში კი გაძვალების პროცესის განვითარებას. ამ ასაკში მკვეთრად განიცდის დაქვეითებას გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქავი აპარატის ფუნქცია.

ყველა ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე იბადება კითხვა, შესაძლებელია თუ არა გავუწიოთ წინააღმდეგობა ყველა იმ ატროფიულ პროცესებს ფუნქციური დარღვევების დროს, რომელთაც ადგილი აქვს ადამიანის ორგანიზმში ასაკობრივ ცვლილებებთან დაკავშირებით?

აღნიშნული ამოცანის გადაწყვეტის მიზნით ჩვენ შევეცადეთ გვეწარმოებინა დაკვირვება კუნთური მუშაობის, კერძოდ ფიზიკური ვარჯიშის მოქმედებაზე. დაკვირვებებიდან აღმოჩნდა, რომ 55-60 წლის ასაკის პირებში 6-12 თვის განმავლობაში ჩატარებული სისტემატური ფიზიკური ვარჯიშის შედეგად ადგილი ჰქონდა ჩონჩხის კუნთების ჰიპერტროფიას და მათი ძალის მომატებას. რეინდელის 1960 წ. გამოკვლევებით ცნობილია, რომ უფროს ასაკში სისტემატური ფიზიკური ვარჯიშის ზეგავლენით შესაძლებელია ჩამოყალიბდეს ე. წ. „სპორტული გული", რაც ჩვენს შემთხვევაში იყო აღნიშნული. ყველა ამ პირებს აღენიშნებათ საერთო მდგომარეობის თვალსაჩინო გაუმჯობესებები, შრომისუნარიანობის ზრდა და ა. შ.

მეტად საინტერესოდ ითვლება შვედი პეტრენის (1938 წელი) გამოკვლევა. აღნიშნული ავტორის მიერ შემჩნეული იყო, რომ გაწვრთნილი თაგვების გულში, ისე ზურგისა და თავის ტვინში სისხლის კაპილარები ვაცილებით უფრო მეტია, ვიდრე ეს გაუწვრთნელ თაგვებში. მიკროსკოპით დადგენილია ისიც, რომ მოხუცებს, რომლებიც სიცოცხლის უკანასკნელ წლებშიც ეწეოდნენ ფიზიკურ შრომას, თავის ტვინის მხრივ შედარებით ნაკლებათ ემჩნევათ ატროფია.

ამგვარად, მრავალი მეცნიერის მიერ დაგროვილი მდიდარი მასალა შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლიობისათვის ბრძოლის პრობლემის გადაჭრის მიზნით აუცილებლობა მოითხოვს მეცნიერული შესწავლა კომპლექსური გამოკვლევების გზით წარმოებდეს ისეთი დარგის სპეციალისტთა მონაწილეობით, როგორებიცაა: ფიზიოლოგები, მორფოლოგები, ბიოქიმიკოსები, რენტგენოლოგები, ნევროპათოლოგები, კარდიოლოგები და სხვ.

აღნიშნულ პრობლემას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს კაცობრიობისათვის, ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივების რეალურ შესაძლებლობათა გამონახვის თვალსაზრისით.

დ. მატეევი,
პროფესორი, ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

წერილების კვალდაკვალ

ჩვენი გაზეთის გასული წლის 29 ნოემბრის ნომერში დაბეჭდილი იყო წერილი, სადაც ლაპარაკი იყო გორის საჭადრაკო კლუბის გაჭიანურებული რემონტის შესახებ.

როგორც საქართველოს კომპარტიის გორის საქალაქო კომიტეტიდან გვატყობინებენ, წერილში მოყვანილი ფაქტი დადასტურდა. საქალაქო კომიტეტის მიერ მიღებული ზომების შედეგად კლუბი მუშაობას დაიწყებს ა. წ. იანვრიდან.

ასე დაკანონდა

ყოველივე ახალი ქების ღირსი არ არის. ზოგჯერ ადამიანს ჰგონია, რომ მან გამოიგონა რაღაც ძალიან ორიგინალური, სინამდვილეში კი იგი არაფერს არ წარმოადგენს. აი, როგორი საინტერესო ამბავი მოხდა 1904 წელს III ოლიმპიურ თამაშებზე ამერიკის ქალაქ სანკლუისში.

შეჯიბრების მსაჯმა გამოიძახა იაპონელი სპორტსმენი ფუნი ჰოკით სიმაღლეზე ხტომაში. ხაზზე გამოვიდა შავთმიანი საშუალო ტანის მამაკაცი. მან მსაჯებს თხოვა, რომ თამასა აეწიათ 3 მეტრსა და 20 სანტიმეტრზე. ეს სიმაღლე იმდროინდელ მსოფლიო რეკორდზე 10 სანტიმეტრით ნაკლები იყო.

შემდგომში მოხდა რაღაც გასაკვირი ამბავი. იმის მაგივრად, რომ სპორტსმენი ფუნი რაც შეიძლება სწრაფად გამოქცეულიყო, ჰოკის ბოლო სპეციალურ ყუთში მოეთავსებინა და თავისი ტანი გადაესროლა თამასას იქით, მან თავისუფლად ჩაარჭო ჰოკის ბოლო სილაში და დაიწყო მასზე ცოცვა, ისე როგორც ამას აკეთებენ ბავშვები ხეზე ასვლის დროს. ფუნმა მიაღწია 3 მეტრსა და 40 სანტიმეტრს დანაყოფს და იმ წუთს, როცა ჰოკი გადაიხარა და უნდა გადავარდნილიყო, იაპონელმა აუღელვებლად გადაიტანა თავისი ტანი და უვნებლად დაეშვა ორმოში.

— ახლა კი, — მიმართა მან მსაჯთა კოლეგიას, — გთხოვთ ასწიოთ თამასა 3 მეტრსა და 50 სანტიმეტრზე. მსაჯები მოულოდნელობისაგან დაიბნენ.

— მოითმინეთ!—განაცხადეს მსაჯებმა, — თქვენ მონაწილეობთ ჰოკით გამორბენით ხტომაში, სად არის გამორბენი?

— დიდი სიამოვნებით, — აუღელვებლად უპასუხა იაპონელმა, — შემიძლიან გამორბენითაც.

ფუნმა ოცდაათი ნაბიჯით დაიწყო, ჰოკი აღმართა და გამოქანდა. როგორც კი მიუახლოვდა თამასას, შეჩერდა, ჩაარჭო ჰოკი სილაში და დაიწყო მასზე ცოცვა...

მსაჯთა კოლეგიამ ფუნის მაჩვენებლები არ ჩათვალა და იმ წუთშივე წესდების წიგნში შეიტანა შემდეგი სიტყვები: „ხტომის დროს აკრძალულია ჰოკის დაჭერა ხელით“. ასე დაკანონდა წესი, რომლითაც დღეს სარგებლობს მსოფლიოს ყველა სპორტსმენი.

1968 წელს

ფინეთის ქალაქმა ლახტიმ წამოაყენა თავისი კანდიდატურა 1968 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩასატარებლად. ამავე ოლიმპიადის ჩატარება სურთ აგრეთვე ოსლოს (ნორვეგია), ვალასს (შვეიცარია), საპოროსა (იაპონია) და კალგარის (კანადა).

ა. კაპჩინსკის სახელობის თასი

სახელოვანი საბჭოთა მოციგურის ა. კაპჩინსკის სახელი ფართოდ არის ცნობილი სპორტის მოყვარულთა შორის. შესანიშნავი სპორტსმენი და ინჟინერი ა. კაპჩინსკი ტრაგიკულად დაიღუპა პარტიზანული რაზმის რიგებში ერთ-ერთი ბრძოლის დროს. მისი ხსოვნის აღსანიშნავად დედაქალაქის სპორტსმენები ყოველწლიურად ეჯიბრებიან ერთმანეთს ა. კაპჩინსკის საყვარელ დისტანციებზე 500 და 1500 მეტრზე.

წელს ეს საპატიო ჯილდო მოიპოვა მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტმა სპორტის ოსტატმა ა. სამოილოვამ.



იდეა კვლავ ცოცხლობს

საჭადრაკო ეტიუდი არასოდეს არ ჰკარგავს თავის მიმზიდველობას. მით უმეტეს, თუ იგი შეიცავს სადასა და შთამბეჭდავ იდეას. ასეთი ეტიუდების რიცხვს მიეკუთვნება იტალიელი საავედრას ეტიუდი. აქ ვაქვეყნებთ ახალგაზრდა ნიჭიერი ქართველი ეტიუდისტის ვ. კალანდაძის წერილს, რომელიც მოგვითხრობს საავედრას ეტიუდის ახალ სიცოცხლეზე.

ვინ ჰრ მოხიბლულა იტალიელი საავედრას ცნობილი ეტიუდით, რომელიც 1895 წელს გამოქვეყნდა. იგი ერთადერთი ეტიუდია საჭადრაკო კომპოზიციის მატიანეში, რომელშიც მარტოხელა პაიკი წარმატებით იბრძვის ეტლის წინააღმდეგ.

თეთრები: მფb6, პ. c6 (2)
შავები: მფa1, ეd5 (2)
თეთრები იწყებენ და იგებენ.

1. c7 ეd6+ 2.მფb5 ეd5+ 3. მფb4 ეd4+ 4. მფb3 ეd3+ 5. მფc2! ეd4 6. c8ე! ეa4 7. მფb3 მოგებით.

ამ ეტიუდმა თავის დროზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ეტიუდისტებზე. მისი მახვილგონივრული ჩანაფიქრი არც ახლა კარგავს მიმზიდველობას. თანამედროვე, განსაკუთრებით საბჭოთა კომპოზიტორებმა, გადაამუშავეს ცნობილი იდეა, გაამდიდრეს იგი. ამ მხრივ საყურადღებოა ნიჭიერი საბჭოთა ეტიუდისტის ლიბურკინის ნამუშევარი.

თეთრები: მფd1, მa2 პ-ბი: b5, c6 (4)
შავები: მფa1, ეc5 (2)
თეთრები იწყებენ და იგებენ.

1. მc1 ე:b5 2. c7 ეd5+ 3. მd3 ე:d3 4. მფc2 ეd4 5. c8ე ეa4 6. მფb3 მოგებით, როგორც ეს საავედრას აქვს. მაგრამ თუ 1. ...ეd5+ 2. მფe2 ეe5+ 3. მფd3 ე:b5 4. c7 ეb8 5. cbქ მოგებით.

ლიბურკინმა საავედრას სქემაზე დაყრდნობით მოახდინა ორი დამოუკიდებელი ნაწარმოების სინთეზი.

საავედრას განუმეორებელი მანევრით მოხიბლულმა შევადგინე შემდეგი ეტიუდი, რომელიც გამოქვეყნდა უნგრულ საჭადრაკო ჟურნალში. ჩვენც შევეცადეთ გაგვემდიდრებია შესავალი თამაში და შევგვენილბა ეტიუდის ძირითადი იდეა.



თეთრები იწყებენ და იგებენ.

1. მgf3+ მფd1 2. ეg1+ ლ:g1 3. მ:g1 ეa2! 4. b7! მe7+ 5. მფd7 მc6 6. მფ:c ე:a6+ 7. მფc5 ეa5+ 8. მფc4 ეa4+ 9. მფc3 ეa3+ 10. მფ b2 ეa4! 11. b8ე ე:h4 12. ეd8+ მოგებით.

საავედრას ეტიუდის ცხოველმყოფელობა მიგვითითებს იმაზე, რომ მრავალი ცნობილი ეტიუდის შთამბეჭდავი იდეა შეიძლება ახალი ნიუანსებით შეივსოს, ახლებურად გაცისკროვნდეს. ამ მიმართებით მუშაობა, ჩემის აზრით, ბევრს მისცემს ახალგაზრდა ეტიუდისტს.

ვ. კალანდაძე

ჩვენი „ტიპო“ — მოფერებით ასე უწოდებენ საფრანგეთის სპორტული გაზეთის „ეკიპის“ სტამბის მუშები ამავე სტამბის ლინოტიპისტს მიშელ ჟაზის, რომელმაც მსოფლიოში სახელი გაითქვა არა როგორც პოლიგრაფიულმა მუშაკმა, არამედ, როგორც უძლიერესმა მძლეოსანმა საშუალო მანძილზე რბენაში.

ამ ფიზიკურად ნაკლებად განვითარებულმა ადამიანმა, რომელსაც კუნთები თითქმის არა აქვს, ხოლო ხასიათით დიდი ბავშვის შთაბეჭდილებას ტოვებს, დაუღალავი, ენერგიული შრომით, რეგულარული წვრთნით, შეძლო შესანიშნავი შედეგებას ჩვენება.

მისი ყოველდღიური წვრთნის რაციონი, განსაკუთრებით დიდი სტარტების წინ, 15-22 კმ-ია, მაგრამ მარტო ამით როდი კმაყოფილდება. წვრთნის პროცესში ხშირად იყენებს ტანვარჯიშს, შტანგას.

მ. ჟაზი მძლეოსნური ბილიკის ერთი იმ „სამ მუშკეტერთაგანია“, რომლებიც უკანასკნელ ხანებში აგრძელებენ საფრანგეთის გამოჩენილ მორბენალთა ტრადიციას. სამივენი — მ. ბერნერი, რ. ბოჟე და მ. ჟაზი ცდილნენ ძალებს რომის ოლიმპიადაზეც, მაგრამ ყველაზე დიდ წარმატებას მაინც „ტიპომ“ მიაღწია, როცა 1.500 მეტრზე რბენის ფინალში მხოლოდ ავსტრალიელ გ. ელიოტს ჩამორჩა, აჩვენა შესანიშნავი დრო — 3.38,4 და ვერცხლის მედალი მოიპოვა. მაგრამ ეს არ იყო ლინოტიპისტის პირველი და უკანასკნელი წარმატება.

ჯერ კიდევ რომამდე მან დაამყარა საფრანგეთის რეკორდები 800, 1 200, 1 500 მეტრსა და 1 მილზე რბენაში. მ. ჟაზის არც გასულ სეზონში შეურცხვენია თავი. ჯერ 2 000 მეტრზე რბენაში დაამყარა მსოფლიო რეკორდი, როცა ეს მანძილი 5.01,6-ში გაირბინა, ხოლო შემდეგ ბელგრადში გამართულ ევროპის მძლეოსანთა VII ჩემპიონატზე 1 500 მ რბენაში უკან ჩამოიტოვა კონტინენტის ყველა უძლიერესი და პირველი ადგილი მოიპოვა. მართალია, მის მიერ ბელგრადში ნაჩვენები შედეგები საგრძნობლად ჩამორჩებოდა რომის მაჩვენებელს, მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა ჩემპიონის ოქროს მედლისათვის.

ბელგრადიდან ჟაზი პირდაპირ ლინოტიპს დაუბრუნდა, თითქმის ყველა მასალამ, რომელიც გაზეთში იბეჭდება, მის ხელში უნდა გაიაროს — მან უნდა ააწყოს, ამდენად იგი ყველა მოვლენის კურსშია, მაგრამ თავისუფალ დროს კვლავ სარბენ ბილიკზე, სპორტულ დარბაზებში ატარებს — ემზადება.

• • •

სურათებზე: მ. ჟაზი ლინოტიპზე მუშაობის დროს, ქვევით — მ. ჟაზი ბელგრადში გამარჯვების შემდეგ თავდახრილი, კმაყოფილი ისვენებს.

საერთაშორისო ტურნირი პარიზში

პარიზში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი კალათბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ ჩემპიონთა თასის შარშანდელი გათამაშების ფინალისტი, თბილისის „დინამოს“ ყოფილი მოწინააღმდეგე, მადრიდის „რეალი“ (ესპანეთი), საფრანგეთის ჩემპიონი „ალზასი“, იტალიის ჩემპიონი „სიმენტალი“ (მილანი) და პარიზის კლუბი „სტად ფრანსე“.

პირველი ადგილი დარჩა „რეალს“, რომელმაც ფინალური მატჩი მოუგო „ალზასს“. ანგარიშით 89:84. მესამე ადგილზე ერთმანეთს შეხვდნენ „სიმენტალი“ და „სტად ფრანსე“. აქ აშკარა იყო იტალიელების უპირატესობა, რომლებმაც მოიგეს ანგარიშით 70:60.

ჩემპიონთა თასზე კალათბურთში

კალათბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის პირველ მატჩში საფრანგეთის ჩემპიონმა „ალზას დე ლანიოლმა“ მოუგო ირლანდიის ჩემპიონ „ბელფასტ ჩელტიკს“ ანგარიშით 115:31. ეს ჯერჯერობით სარეკორდო ანგარიშია თასის ახლანდელ გათამაშებაში. მეორე მატჩი გაიმართება ბელფასტში, მაგრამ ახლავე ცხადია, რომ გათამაშების მეორე წრეში უნდა გავიდნენ ფრანგი კალათბურთელები.

უნგრეთის ჩემპიონმა მტკ-მ ანგარიშით 62:44 მოუგო პირველი მატჩი ავსტრიის ჩემპიონ „უნიონ ნიბელუნგენს“. მეორე მატჩი გაიმართება ვენაში.

ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონმა „სპარტაკმა“ (ბრნო) ორივე მატჩი მოუგო „ანტვერპენს“ — 81:74 და 88:57.

რედაქტორი ი. უგულავა.

ЛЕЛО
ИНДЕКС 66448

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3-01-06.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 00311